

## საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

### მუხლი 1

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995წ, №27-30, მუხ. 575) მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებებს განეკუთვნება დარგის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი:

1<sup>1</sup>. საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამოსილებებს განეკუთვნება საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულების შემუშავება და მათ განხორციელებაზე კონტროლი.“.

### მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი